DARCHI
HYDROLEA Group

N 002
2 / 03 / 2020

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

როგორც თქვენთვის ცნობილია, შპს „დარჩი“ მიერ მდინარე დარჩ-ორმელეთზე დაგეგმილია 18 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (დარჩი ჰესი) მშენებლობა და ექსპლუატაცა. აღნიშნულ პროექტზე, „მესტიის მუნიციპალიტეტში, შპს „დარჩის“ მდინარე დარჩ-ორმელეთზე (მდ. ნენსკრას მარჯვენა შენაკადზე) 18 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (დარჩი ჰესი) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ” საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 5 მაისის N2-372 ბრძანებით, გაცემულია სკოპინგის დასკვნა N40 (10.04.2019 წ), რომლის შესაბამისად შპს „დარჩმა“ მოამზადა დაგეგმილი პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-11 მუხლის საფუძველზე, გარემოსდაცვითი გადაწყვეტლების გაცემის მიზნით, წარმოგიდგენთ, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად მომზადებულ „მდინარე დარჩ-ორმელეთზე (მდ. ნენსკრას მარჯვენა შენაკადზე) 18 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (დარჩი ჰესი) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე შპს „დარჩის“ განცხადებას ერთვის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემდეგი დოკუმენტაცია:

- „შპს „დარჩის“ მდინარე დარჩ-ორმელეთზე (მდ. ნენსკრას მარჯვენა შენაკადზე) 18 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (დარჩი ჰესი) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში -1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- გზშ-ის ანგარიშის არატექნიკური რეზიუმე -1 ეგზემპლიარი;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „დაჩის“ რეგისტრაციის თაობაზე;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ასლი;
- დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია და დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის გეოგრაფიული კოორდინატები shp-ფაილების სახით.

პატივისცემით,
ზურაბ გორდეზიანი

შპს „დარჩის“ დირექტორი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი
№ 3941
04.03.2020
1/CD
02